

ଅଭ୍ୟାସକଳ



33099 ქართველი წევმი წაწყမელული. მსრეთ იყოს სიხარულ  
ათა შინა, ართისათვის კავკაციისა. ლია, 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი პაშურალნი და ტვირთ-მძიმენი  
და მე აანგაზვანდე ფქან, მათ. 11—28.

No. 21

1883—1901

1—15 ნოემბერი.

600935

2 အခြေခံပုဂ္ဂန်း၊ စီမံချမှတ်ခွင့်ဆိုင်ရာ ပြုလုပ်များ

მე ვარ გზა, და მე ვარ ჭუშარიტება და  
(ხოვრება) (იოან. 14, 6).

ეს ჩვენი ცხოვრების დრო ითვლება დროდ  
გონებრივი მოძრაობება და მოვიძარებისა, სწავლისა  
და გამოცდილების შექნის. მაროლადა შესანიშვი  
მოძრაობაშია ჩვენი დროის დამიანი გონებით.  
დაქაყაფულება გონებრივი მოხხოვნილებისა ბევ  
რისათვის დღეს ისეთივე აუკილებელი და თავიდან  
მოუშორებელი რამ გამზღარს, როგორც არსებობის  
ლუქმაზედ ზრუნვა; ბევრი ტანთ და ფეხთ იკლებს,  
რამ ცოდნის წყურვალი მოიკლას, გართულობა

და ლხენის ნაცვლად აღმატებს დღეებს სხვა-და-სხვა  
გვარი წიგნების კითხვაში და წერაში, მუდმ ფიქრ-  
შია და გონების ვარჯიშობაში. ამ გონების მოძ-  
რაობაზ, სწავლა-გმოცდილების შექნის მძლიურმა  
სურვილმა, ერთობ მოძრავი გახადა თვით კაცის  
ცხოვრება, მისი ყოფა-მდგომარეობა. დღეს დილით  
კაცი შეკი ზღვის პირათ რომ დასეიჩნობს, საღა-  
მოთი ბაქოში ჩადის, ხეალ უთენდება ზღვასავით  
გადაშლილ რუსეთის უსაზღვრო ველში და სხ.  
რასაცირკელია, ახეთი ზღაპრული სისწრაფის მოძ-  
რაობით მცხოვრები აღამიანი ბევრსა ხედავს, ბევრს  
ახალ გამოკიდებას იძენს და ბევრი რამ ახალი  
ესმის. ამასთან საყურადღებოა ის გარემოება, რომ  
ნანახს, გაგ ჩილს და ახლად შექნილს კაცი არ  
იმარხავს მხოლოდ თავის გულში. ყველაფერ ამას  
აქცევებს, ხადებს, უზიარებს სხვებს და ატყო-  
ბინებს ბევრფით სიტყვით, მწერლობით, უზრნალ-

გაზეთების საშუალებით. დღეს ბეჭედითი სიტყვა აღარა სტოკებს აღნინიშნავად და გამოუქვეყნებლად აღარაფერს. მწერლობაში, როგორც სარკეში იხედება საზოგადოების ცხოვრების სურათი, საზოგადოების ზნება და დაცუმულობა, რწმენა და გარეწრობა, სათნაინობა და ბიჭიერება. აბა მაშე ერთი წამით ჩაიხსდოთ ამ უტყუარ სარკეში, რომ გავიგოთ სუფთა გვაქვს პირი-სახე, თუ მური გვცხია, ლოისური შუქი გვაფენია, თუ საზიზლარი მუწუკი გვძნევია შუბლის. ქინძისთვალ.

აი ერთი გაზეთი გვატყობინებს, რომ ვაჟი-შვილმა დანით დაკლა თავისი მშობელი მოხუცებული დედა იმის გამო, რომ უკანასკნელმა აღარ მისცა შეიღლს ფულები, რომელსაც ეს უბედური ხარჯავდა და აბნევდა უთავბოლოდ ლოთობაში (Kavk. № 267). მეორე გაზეთიდან ვტყობილობთ, რომ ერთი პატიოსანი, მშობელი და გამრჯვ მოხელე, სადილობის დროს თავის კოლ-შვილში, მოკლა გულში დანის დაკვრით ახალ-გაზდა კაცმა, რომელიც დაუდევრობისა და სიზარმაცის გამო დაითხოვა სამსახურილებან ამ საბრალისმა მოკლულმა (იგვე Kav. და ივერია № 222). აქ გვაცნობებენ, რომ ეკვლესილამ მოპარულ იქმა ბაზიმ-ფეშეუშიო! თავის მოკლა, ახდა და დაკარგვა ქალწულობისა, გადაგდება უბრალო კარტოფილივით ქუჩაში ახლად დაბადებულისა, სიყალის ჩადენა და სხვა ამ გვარები ხომ ისე გახშირდნენ, რომ უგანეთოთაც გავიგონებთ და ვნახავთ საკუთარი თვალით თუვინდ რომ სულ მიყრუებულ სოფელში გვქონდეს ცხოვრება! აი რას გვიჩვენებს ჩევნი ცხოვრების სარკე, აი რა მარგალიტებს ალაგებს ბეჭედითი სიტყვა ჩევნი ცხოვრების სკირიდამ, აი რა თვალწარმტაცი ფერადებით ასურათებს იგი ჩევნ ხასიათს და ზნებას, ჩევნი გულის წადილს და გონების შიმართულებას!

ვკითხულობ, მეშმის, ვხედავ ამ შესახარ ამბებს, ვუკვირდები ამ ჩევნი ზნებრივი ცხოვრების სიმახინჯეს, სულის სიავადეს, კეთოვნებას და, შიშით შეპყრობილი, ვეკითხები ჩემ თავს — რას ვჩავდივართ? რა ხდება ჩევნ გარშემო? სად მივდივართ? რატომ არ ვგრძნობთ და არ ვხედავთ რა უფსკრულში, რა უძირო და ჯოჯოხეთისავით ბნელ ლრანტ-ხევში ვიჩეხებით და ვიმსხვევით? ამგარ გზა-აბნეულობაში, ამისთანა განსაცდელისა და გაჭირვების დროს

თავდადებული და ერთგული მწყემსი ჩევულებრივ წინ გადადებება ხოლმე სამწყსოს თავისი გრძელი და საკმაოდ მძიმე ჯოხით. იგი ამ ჯოხის დახმარებით და თავისი მაღალი ხმაურობით მეცადინობს რაც ძალი და ღონე აქვს, რომ გადაარჩინს გზა-ცდომილი და გონება დაბნეული ცხოვარი კუდეხე გადავარდნას, დანსხვრევას და აუცილებელ სიკვდილს.

სწორედ მსგავსივე საკუიელი გვმართებს ჩევნც, სიტყვიერ-ცხოვართა მწყემსებს, რათა შევეჩეროთ ჩევნდა ჩაბარებული სამწყსოს ის სწრაფი, წინდაუხდავი და მატარებელისავით გაქანებული მოძრაობა და ლტოლვილება უბედურობის უფსკრულისადმი, რომელსაც შედეგად მოსდევს ცხოვრებაში შეიღოთავან მშობლების სიკვდილი, ძმისაგან ძმის განუკითხაობა, მეზობლისაგან ძეზობლის დამხობა, ქრისტეანისაგან ეკალების შეგინება-შებილწვა, მრავალგვარი და მრავალი სახის საზიზლრობა-უპატიოსნება. მაცხონებელი და გონზე მომყვანი ჯოხი, რომოთაც ამ შემთხვევაში უნდა ვიყვნეთ აღჭურვილნი, არის სიტყვა დვთისა, სწავლა სახარებისა, ქადაგება, გაფრცელება, თესვა სამწერთში ჭისტეს სწავლისა.

მაგრამ, ვაი რომ ჩევნ, სულიერი მწყემსი, არა ვართ მუდმივ შესაფერისად აღჭურვილნი საბართო იარაღით! ვაი რომ ვთესავთ, ვარუცელეთქვე შორის და ვედაგებთ ლვთის სიტყვას რადგბით (ზ. კორინთ. 9, 6), ე. ი. იშვიათად, ძირიად, ნაკლებად, ხელ მოჭერით! ვაი რომ სახარების ქადაგებაში ჩევნი ხმა არის უფსკრული, ულონო, სუსტი და არა ხმა დადია, გათარცა საეგირისა (გამოცხ. 1, 10). რა თქმა უნდა, სულ სხვა გვარი, სხვა ვამართულებისა იქნებოდა ოქვენი ცხოვრება, ოქვენი საქციილი, თქვენი ზნება, ყველა მწყემსი რომ ნათლად ესმოდეს თავისი სალრთო მოვალეობა და თავდაუზოგავად ასრულებდეს მას. გარნა არასოდეს არ ყოფილა და არც ეხლაა, რომ რაოდენიმე კეთილი მწყემსი აღარ იპოვებოდეს, აღარსად ისმინდეს მათი ხმა. არა, ეხლაც მოიპოვებიან კეთილნი და სამწყსოს მოსყვარულე მწყემსი, ეხლაც ბევრგან გაისმის მათი სიტყვა და თუ მათ ბევრი ვერა გაურიგებიათ რა, ეს უნდა მთლად მიეწეროს სულიერ ცხოვართა გულის სიბრძეს (ეფ. 4, 18), უნდა ისხსნას იმითი, რომ ეკულესის სწავლას დღეს ერთ უკრთა მძიმედ ისმენს (საქ. მოც. 28, 27). ხომ მომ

ხდარა, რომ თავდადებული შწყემსის ხმა ვერ შეეგნოს დამფოხვალ საქონელს, ფეხთ ქვეშ ჩაეგდოს თავისი კეთილის მყოფი, გაექელოს, გადევლოს ზედ და მერმე თითონ მოთლად უგანთჭმულიყოს უფსკრულში!

სმენა, სმენა ღვთის სიტყვისა, აი რა გვაკლია ყველას. დედა ჩემია და მძანი ჩემია ქსე არან, რო-შეფთა სიტყვა ღვთისა ისმინთო (ლუკ. 8, 21), ბრძანა მაცხოვარმა და რა ერთობა, რა დამოკიდულობა, რა კავშირი და ნათესაობა გვევრება ქრისტესთან და ქრისტეს ჩვენთან, როდესაც არა გვაქს მისი სიტყვის სმენა! ნეტარ არან, რომელთა ისმინთო სიტყვა ღმრთისა და დაიმართონ იგით (ლუკ. 11, 28), ბრძანებს იგივე მაცხოვარი და რაღა გასაკვირველია, რომ ჩვენი ცხოვრება მოკლებულია ყოველ კეშმარიტ ნეტარებას და შვებას, რადგანაც ოლარა ჩვენში ღვთის სიტყვის სმენა და გაგონება. თესლი იგი ას სიტყვა ღმრთისა (ლუკ. 8, 11), შემოგვესმა დღევანდელ სამრთო წირვაზედ წაკითხული სახალშიდან. უთესლოდ წარმოუდგენელია ყანა, უყანი დ შეუძლებელია კაცის კვება-საზრდოება. თუ კ. ის გული არ იქმნა გაზიაფხულზე (სიყმაწვილეშივე) უ ვი მარჯვენით დათესალი ღვთის სიტყვით, აშკარა ზარტულში (სრული წლოვანების დროს) იგი დააჯილდოებს პატრიონს უხვი სამკალით და არც უ ვ გამოსაკვებ ხევის აალებინებს კალოდან, ე. ი. დ ვთის სიტყვის სმენას მოკლებული კაცის ცხოვრება, მოკლებული იქნება ყოველთვის პატიონებას, კ შმარიტ სკინიდისინობას, სამრთო ლმობიერებას დ კაცთ მოყვარებას. კაცის გული, დატოებული თის სიტყვის მუდმივი სმენის გავლენის გარეშე, ემსგაესება თავმინებებულ მინდორს, რომელსაც სისტაფით ედება და იქერს ეალ-ნარი, ქაცვარდი და შემბ-ძექი. ძნელი, მოუხერხებელი და აუტანელია ხეოთ გულის პატრიონთან, იმ გვარი სულის კაცოან ცხოვრება და მეზობლობა. იგი ზნეობრივ შე წუხებს უკელას და ყალსავით დაესობა, დაუწყლავს და დაუკოდავს სუყველას გულს, ქაცვისავით წამოედება ყველას, ვინც კი მას გაუვლის გეერდით და აუცილებლად შემთაცლის ნამუსეს სამოსელს, მ გავსად ძეგვისა შეაგწროებს მეზობლებს და მწარე ამოხდის მათ სულს.

აი სად იგარება მთავარი მიზეზი ჩვენი ცხოვრის. შერუევენსა. აი სათაური, იმ ზნეობრივი სნეუ-

ლებისა, რომლის გამო ძმა ძმას იმეტებს სასიკვდილოდ, მამა ჰდალატობს შვილებს და შვილები ალ-სდეგებიან მამა-დედათა ზედა.

სასურველი და ძირდასია, მსმენელნა, ჩვენი ეპლან-დელა გონებითი გამოფხიზლება, მეტად საქებური და სასახელო ჩვენ შორის ალძრული მისწრაფება სწავლა-განათლებისადმი, დიდად სასიკეთოა ჩვენი ღრივის ალფრონგანებული და ცხოველი ხალისი მწიგნობრობისა, მაგრამ ამასთან ერთად დიდი და პატარა დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ და არასოდეს არ უნდა დავიკირწოთ, რომ სწავლა, გამოცილება, მწიგნობრობა და გონების ვარჯიშობა თავის თავად, მარტოდ მარტო აღებული, ვერასოდეს ვერ დაამშვიდებენ ჩვენ ცხოვრებას, ვერასოდეს ვერ გაგვინათებენ ბნელი ცხოვრების გზას კეშმარიტი ნათელით, ვერასოდეს ვერ შეგვისუბუქებენ იმ აუტანელი ტვირთის სიმიმეს, რომლისა ქვეშ მწარედ გმინავს და სტირის კაცობრიობა, თუ მეცნიერებას საცურცლად არ ექნა დადებული ღვთის სიტყვა, თუ კაცის გონების განვითარება არ აეგო მთლიად ღვთის შიშულ, თუ მისს გამოცილების თავიდურ ლოდად არ დაედა მცნება და მიმღვრება იმისი, რომელმანც ბრძანა: შე ვარ გზა, და მე ვარ კეშმარიტება და ცხოვრება (იმან. 14, 6).

მაშ მუდამ მზაუ ვიყვნეთ, ძვირდასინ მსმენელნო, ღვთის სიტყვის სასმენად; ღაა ვიქონიოთ მუდამ გულის კარი ღვთის ხმისათვის და გვრწამდეს, რომ თვითეული სიტყვა ღვთისა, ჩათესლი გულის სილმეში, უეპველად შეიქმნება ღალან ჯეჯილად, რომელიც თავის ღროზედ დაგვირგვინდება ყოველი ბენდიერების, ყოველი სიკეთის მაძლიერებელი თავთავით.

რომელთა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ! ამინ.

ეპისკოპოზი ფეთნიდა



ღმერთო ამრავლე ამისითანა მასწავლებელნი  
ჩვენში!

ამ 1901—1902 სამოსწავლო წლის დამდეგს ჩვენი ორ-კლასიინი სამრევლო სკოლის მასწავლებლად დაინიშნა ქ. ანასტასია ვასილის ასლილო ლომინაძე, რომელმაც ექროს მედლით გაათავა გიმნაზია და რომელიც მამასთან ერთად (მამა იყო ხაზინადრად ახალ სენაკში) ჩამოვიდა სენაკში.

სსენებული სამრ. სკოლა გაიხსნა ახალ-სენაკში 1897 წ., ბლაღობინის მღვდლის მ. ა. კალანდარიშვილის თაოსნობით. თუმცა მმ სკოლას. როგორც ახლად გახსნილს, ჯერ არა ებადა რა, არც ფულად, არც ავეჯად და არც საქორო ნივთები ჰქონდა, მაგრამ ყველა ამებებს არ შეუშანდა ახალ-გზირდა მასწავლებელი ქ-ნი ანასტასია და თავისს თანამდებობას დიდის ენერგიით ჩასჭიდა ხელი და სწავლის საქმეც სულ მცირე ხანში სამაგალითო ნიადგზე დააყენა, რის გამოც აუარებელი მოწაფეები მიაწყდა ზემოხსენებულ სკოლას. თითქმის ნახევარზე მეტმა მოწაფემ დაანება თავი აქაურს სამინისტრო საქალებო სკოლას და სამრევლო სკოლისკენ მიაშურა. მმ ამბავმა ძლიერ ჩააფიქრა სამინისტრო სკოლის მმართველობა და რომ სკოლა არ დაცალიერებულიყო, სწავლის ფული 10 მანებიდან 6 მნეთზე ჩამოიყენეს; მაგრამ ვერც ამან უშველა მათ და ბოლოს სულ მოსპეს სწავლის ფული. როცა ბავშვების წასელა ამითაც ვერ შეიჩერებს, მაშინ მმ სამინისტრო სკოლაში, სადაც ლევიცკის მუნჯური მეთოდით ასწავლიან, ქართული ენის სწავლებაც კი შემოიღეს.

რადგანაც ახალ დაარსებულ სკოლაში ბევრი ბავშვი მოგრძელა, სწავლის ფულიც (6 მან. წელი-წალში) საკმაოდ შემოვიდა; შემოსული ფულებით სკოლაში შეიძინა საქირო ნივთები, ასე რომ, რამდენიმე ხნის განმავლობაში სკოლას სკოლის ფერი დაედო. მაგრამ მასწავლებელი ქალი ამას არ დასჯერდა, მისი დიალი სურვილი და ნატერა იყო, რომ სკოლას საკუთარი შენობაც ჰქონდა. და ის ამ მიზნის მისაღწევად იგი არავითარ შრომას არ გაუზიდოდა. სკოლის მზრუნველის—კნეინა ანნა გრიგოლის ასულის მხედის და ქ-ნი ეკატირინა ბესა-

რიონის ასული მოსიძის და სხვათა შეწერობა, დ. აზალ-სენაკში ხშირად იმართებოდა ხოლო წარმოდგენები, კანკურტები, საცეკვაო საღამოები სენაკის საქალებო სამრევლო სკოლის სასარგებლოდ. შემოსული ფული მასწავლებელს სრულად ხაზინაში შეტქონდა და ამზარად უყრიდა თავს შენობის ასაგებ ფულებს. ქ-ნ ანასტასია ლომინაძის დაუღალევი ენერგიის და შრომის წყალობით დღეს სკოლას აქვს 1200 მანეთამდე.

ანასტასია ლომინაძემ თუ დიდი შრომა-მზრუნველობა გასწია სკოლის კეთილდღეობისათვის ნიკოლერის მხრით, მან, როგორც მასწავლებელმაც; თითქმის შეუდარებელი ნიკი და უნარი გამოიჩინა. ჩვენ თვითონ ვიყავთ მოწამე იმ ვულის ამატებულ გამოთხვევების წამისა მოწაფეებთან, რის მსგავსაც, ჩვენის ახრით, ტერიად თუ შეზღუდა კაცი დღევანდლებს ციფსა და გაყინულს დროში. აქ ჩვენ დროებით დაგსჯებთ კალამს და ამ წამის გამოსახატავად, ვაღაპარავებთ ერთს პატარა, მეორე კლასის მოწაფე ქოლს, რომელმაც საყვარელ მასწავლებელს შემდეგის სიტყვებით მიმართა:

„ერთფასო და საყვარელო მასწავლებელო ბატონი! დადგა უკანასენელი სათო, როდესაც თქვენ — ჩვენო საყვარელო და ხეირ ფასო ტასო, უნდა დასტოვოთ ეს სკოლა, მოწაფე ქალები ამა სკოლისა, სუყველანი თქვენის ხელათ აღზრდილნი, რომლების აღზრდა-განათლებისათვის ენ იცის რამდენი გიშტომით, რამდენი ოფლი დაგიღვრითა ამ ოთხი წლის განმავლობაში. ოთხი წელი სრულიად საკმაო იყო, რომ ჩვენ — თქვენს უმცროსს დებს, გაგვეგო და დაგვეთასებით თქვენი ჩვენდამი დავაწლი, შრომა და სიყვარული და, ამ სიყვარულისა გამო ჩვენც სიყვარულითვე გვებასუხნა. გარნა რომელი სკოლა, რომელი მოსწავლე არ შეიყვარებს არ გააღმერობს ისეთ მასწავლებელს, როგორიც იყავით თქვენ, რომელიც თავისს ნიკიერებით, ენ წყლიანობით გვიმსუბუქებდით სწავლის მძრმეულებლი და კუუა სინდისს გვინათლებდით; ამიტომ იყო რომ ჩვენ სკოლაში წასვლა კი არ გვეზრებოდა არამედ გვისაროდა, სულით და გულით იქითკე მივისწრაფოდით, რაღგანაც იქ გვეცულებოდა კე თილის გულის და ხასიათის მასწავლებელი, საყვარელი ჩვენი ტასო. აი, ყველა ამას ვერძნობთ, ვა ფასებთ ჩვენ და იმიტომ არის რომ ასეთი სასარგებ


ლო მასწავლებლის მოშორებას ად ესტიკით და ცხარე ცარებლებს ვღვრით.

გთხოვთ, უძვირფასებო მასწავლებელო პ. ტასო, გვაპატიოთ, რაც შეგცოდეთ, გაწყენით ამ ოთხი წლის განმავლობაში, ამასთან იმედი გვ-ქვს ყველა ჩვენ მოწაფებს, არ დაგვიურწყებთ და თქვენის ნახვით გაგვაძენიერებთ. ჩვენ კი სიკვდილამდე გვეყვარები, გვეხსმები და აი ნიშნად ამა სიყვარულისა და ხსოვნისა გიძლვნით ამ ხატს ღვთის მშობლისას, რომლის წილ-ხდომილია ჩვენი ქვეყანა და წმიდას გულით ესთხოვთ მას, რათა იგი იყოს თქვენი შფარველი და შემწე ყოველ თქვენს კეთილ საქედში”.

ბავშვს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გათავებული ეს სიტყვები, რომ მოსწავლე ქალებში ჩუმი ქვითინი მოისმა, რომელიც მალე ხმა-მაღალ ტირილად და მოთქმად გადაიქცა. ამ ქვითინს ბანი მისცა თვით

მასწავლებელმაც და შეიქმნა ისეთი ამბავი, რომ სუკელია იქ დამსწრე გარეშე პირებიც უნებლივიდ აცრებლდებ და ამბობდნენ: „ნეტა იმ ბავშვებს, რომელთაც ასეთი მასწავლებელი ჰყავთ, და ნეტა იმ მასწავლებელსაც რომელიც ასრე უსაზღვროდ შეყვარებია მოწაფებსო”.

დასასრულ, გრძნობათ სავსე სიტყვით მიმართა მასწავლებელს — ა. ლომინაძეს სკოლის გამგებ ბლალიჩინმა კალანდარიშვილმა, რითაც მოკლედ ალ-ნიშნა პედაგოგიური ნიჭი, შრომა და თავ-დადებულობა ამ კალისა საქვარელს ასარებზე და ლილი მაღლობაც შესწირა მას გასაკვირი არ არის, რომ ასეთი საყვარელი და სასარგებლონ მასწავლებელი სენ-კის საზოგადოებშიც ლირსეულად და ჯეროვან დააფასა და, დიდი პატივიც სცა მას...  
ბ. ბერძენი.



ისტორიკოსი დამატრიც ბაქრაძე.



მართლმადიდებლობით — ქრისტეს ნებრივის საქმეშით სასიგადოებითის ღვთის მსახურების განმარტება.

გაფრძელება \*)

შემოსილი მღვდელი დადგება წმ. ტრაპეზის წინ; მას ხელში სასაქმევლე, ანუ საცეკლური უჭირავს. მთავარ-დიაკონი კანკელის შუათნა, აღსავლის ანუ სამეუფო კარტბილან კრეტსაბმელს გარდასწის, გააღებს თვით ამ აღსავლის კარტბს, ამბორნზე დადგება და იტყვის: აღსდევით. უფალო! გვაკურთხენ. პირველ სიტყვით მთავარ-დიაკონი კეკლესიაში მყოფ ხალხს ღვთისმსახურების დაწყებას აუწყებს და ეუბნება, რომ სალოცავად მოემზადოს; და თუ ვინმე მლოცვათაგანი ამ ტროს ზის, ფეხს უნდა წამოდგეს. ხოლო სიტყვებით: უფალო! გვაკურთხენ — გამოითხოვება ღვთისაგან კურთხევა წმ. საქმის შედგომისთვის — ღვთისმსახურების აღსრულებისთვის, თვის გონებისა და გულის აღპყრობისთვის ღვთისადმი მლოცველთა მიერ. შემდგომ მღვდელი იტყვის: დიდება წმიდასა და თანაარსესა და ცხოველსმყოფელსა და განუყოფელსა სამებასა, ყვალადვე აწ და მარიდის და უკუნითი უკუნისამდე, — და თან ტრაპეზის წინაშე საცეკლურით ჯვარის სახეს გამოხატავს. მღვდელი ამ წარმოთქმით ჩენს ყურადღებას წმ. სამებისადმი მიშმართავს და მის სადიდებლად მოგვიწოდებს.

ღმერთი არის შემოქმედი ცათა და ქვეყნისა; მან მათშინა საუცხოვო დაურღვეველი წესიერება

დაამჟარა; მან ადამიანი სხვა-ლა-სხვა ლირსებებით შემწყო და სხვათა ქმნილებათა წინაშე უპირატესობა მისცა; იგი მსოფლიოს თვის ხელში, თვის ძალაში იპყრობს, იგი განაგებს და მზრუნველობს მასზე; მან კაცობრიობას თვისის ნათელი მოქმედია: როცა ღვთის მფარველობას მოკლებული, ნეტარების ერთად ერთ წყაროს განშორებული კაცობრიობა თვისის ძალით მათი ეძიებდა ნავთ-საყუდელსა — კეშმარიტებასა და ბელიერებას, როცა ამის გამო მას მწუხარება და წვალება დღითი დღე ემატებოდა, და იგი ბიწიერებით უფრო და უფრო წყლულდებოდა და სასოწარკეთილებაში გარდებოდა, — მაშინ უფალი იქსო ქრისტე, ძე ღვთისა, ზეცით სოფლიდ მოვიდა; მან ცდომილი კაცი ნამდვილს, ღვთისადმი მიმყვანელ გზაზე დააყენა, უჩვენა მას, თუ როგორ შეუძლია მას სასურველ ბელიერებას მიაღწიოს; ამმიერიღგან ადამიანს მიეცა საშუალება იხსნას თვისი თავი ცალკეისაგნ და მასგან წარმომდინარე ტანჯვისაგან და შემოსოს სათნოებითა და მოიპოოს შეუწყვეტილი მშვიდობა და სიხარული. ვანკ მაცხოვის წავლის მიღებებს, და იწყებს თვის მნებელობის მიღრებას კეთილისადმი, თვისით სულიერ ძალთა განმტკიცებას მის მრექ დასურათხატებულ ცხოვრებაში, მასზე გადმოვა სული წმიდა, რომელიც მას თვის ცხოველ-მყოფელს მაღლს მიანიჭებს, სანეტარო გრძნობებით აღვსებს და უფრო და უფრო იღამაღლებს ღვთისადმი.

ამნაირად წმ. სამება, ე. ი. ერთი ღმერთი, სამიროვანი ანუ სამგამოვანი, მამა, ძე და სული წმიდა, არის მიზეზი მსოფლიოს არსებობისა, კერძოდ, ადამიანის ცხოვნებისა, ე. ი. ბიწიერებითის და სამწუხარო მდგომრეულიდნ გამოყვანისა და კეთილ-მოცულ, საბედნიერო მდგომარეობაში მიყვანებისა; ამის გამო, ჩენს გვმართებს ვაქოთ წმიდა სამება იმ წესიერებისა და შევნიერებისათვის, რომელიც ბუნებაში სუფევს და რომლის კვრეტით ჩენს ვსიამოვნობა; ვნეტარებთ; განსაკუთრებით, უნდა ვალიდებდეთ მას ჩენის განწმელისა და განათლებისთვის.

\*) იხ. „მწყვმისი“ № 19. 1901 წ.

წმ. ეკკლესია გეობმობს რა საღიდებულად ლვთა-  
სა, ქვეყნის შემოქმედისა და კაცობრიობისთვის სა-  
უკუნო ბენდინერებითის ცხოვრების მომზადებელი-  
სა,—თვალშინ გვიყენებს წმ. სამებას მისთვის, რომ  
ქვეყნის შექმნაში და ჩვენის ცხოვნების საქმეში  
მონაწილეობა მიიღეს სამთავე პირთა: მამამ, ძემ და  
სულმა წმიდაშ. რომ ქვეყნა სამთა პირთა შეერთე-  
ბულის ძალით შეიქმნა, ეს სჩანს საღმოო წერილის  
შემდეგის მოწმობებიდან: ა) მამა ღმერთმა ჰქმნა  
ყოველივე: ჩვენდა ერთარს ღმერთი მამა, რომლი-  
საგან არს ყოველი, და ჩვენ მისა მიმართ (1 კო-  
რინთ. 8, 6); ბ) ძე ლვთისამ ჰქმნა ყოველი: მის  
შიერ დაიბადა ყოველივე ცათა შინა და ქვეყნასა  
ზედა (კოლოს. 1, 16); გ) სულმა წმიდამ ჰქმნა  
ადამიანი: სული წმიდა შემოქმედი ჩემი (ამბობს  
მრთალი იობი (იობ. 33, 4). იგრედვე სამივე წმ.  
პირებმა კაცობრიობის ცხოვნების საქმეშიდაც მო-  
ნაწილეობა მიიღეს. მამა ღმერთმა შეგვეყარა და  
გვატხოვნა ჩვენ, განვახახლა ზედმოქმედებითა სუ-  
ლისა წმიდისათა, რომელიც მოგვევლინა მეოხებით  
იესო ქრისტესისათა, ძისა ლვთისათა: რა უაშ სიტ-  
ბოება და კაცო-მოყვარება გამოსხინდა მაცხოვრისა  
ჩვენისა ლვთისა... მისხნა ჩვენ შანვითა მით შეირედ  
შობისათა, განახლებითა სულისა, წმილისათა, რო-  
მელი იგი მოფინა ჩვენზედა მდიდრად იესო ქრის-  
ტეს მიერთ (ტიტ. 3, 4—6). კერძოდ, პირველი  
პირი, მამა ღმერთო არის წყარო ჩვენის განწმედისა;  
მან კაცობრიობის სახსნელად გამოგზავნა თვესი ძე:  
ესრედ შეიყვარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ  
ძეცა თვისი მხოლოდ შობილი მოსუა მას, რათა  
ყოველსა, რომელსა პრწმენეს იგი, არა წროპწყმდეს,  
არამედ აქვნდეს ცხოვრება საუკუნო (იოან. 3, 16);  
შეორე პირი, იესო ქრისტე, ძე ლვთისა არის პირ-  
დაპირი მიზეზი ჩვენის ცხოვნებისა. იგი ჩვენისა  
ცხოვრებისათვის გარდამონდა ზეცით, განკაცნა,  
ჰქალაგებდა, ივნო, დაფვლა, აღსდგა მესამესა დღე-  
სა და ამაღლდა ზეცად. ნუგეშინისმცემელი გვივის  
მამისა მიმართ ქრისტე იესო, მართალი, და იგი არს  
მომტევებელი ცოდვათა ჩვენთა, და არა ხოლო  
ცოდვათა ჩვენთა განწმედისა; იგი მუდამ იმყო-  
ფება წმ. ეკკლესიაში: მე ვჰქოთხო მამასა ჩემსა, და  
სხვა ნუგეშინისმცემელი მოგივლინოს თქვენ, რათა

თქვენთნა დააღგრეს უკუნისამდე (იოან. 14, 16).  
და ასწავებს კაცთა კეშმარიტებას: ოდეს მოგიდეს  
სული იგი კეშმარიტებისა, გიძლოდეს თქვენ კეშ-  
მარიტებასა ყოველსა (იოან. 16, 13); იგი სუფექს  
ქრისტეანები და აცხოველსმყოფელებს მას: არა  
უწყითა, რამეთუ ხორცი ეგვ თქვენნი, ტაძარნი  
თქვენ შორის სულისა წმიდისანი არიან (6, 19—1  
კორინთ.); ებმარება სუსტ კაცს: სულიცა იგი თანა  
შეეწყვის უძლურებათა ჩვენთა (რომაელ. 8, 26);  
იგი წარმოშობს ჩვენს სულში წმიდათა განწყობი-  
ლებათა: ნაყოფი სულისა არს: სიყარული, სიხა-  
რული, მშეიდობა (გადატ. 5, 22),

ამგარად წმ. ეკკლესია ისხენიებს წმ. სამების  
პირთა მისთვის, რომ მათ ერთობრივის მოქმედებით  
შექმნეს ქვეყანა და კაცს ცხოვნება მოანიჭეს. აქ  
საჭიროდ ცრაცხ მოკლედ გავისენოთ ეკკლესიური  
სწვლა წმ. სამებაზე.

სამი პირი: მამა, ძე და სულიწმიდა შეაღევნს  
ერთს ღმერთს. ღმერთი, როგორც უსაზღვრო, უუს-  
რულესი არსება, ერთია; ორი ანუ რაოდენიმე  
უსაზღვრო არსება წარმოუდგენელია; რაოდენიმე  
ღმერთი რომ იყოს, მაშინ ისინი ერთი მეორეს  
შესლუდვდენ, შემოსაზღვრავდენ, და არც ერთიც  
არ იქნებოდა ღმერთი—უსაზღვრო არსება. ღმერთი  
ერთია, ამას მოწმობს საღმონა წერილი: ისმინე,  
ისრაილ! უფალი ღმერთ შენი უფალი ერთ არს  
(მარკ. 12, 29), არავინა არს ღმერთი სხვა, გარნა  
მხოლოდ იგი ერთი ღმერთი (1 კორინთ. 8, 4).  
ამ ერთ ღვთაებაში სამი პირი ანუ გვამია: მამა, ძე  
და სული წმიდა; ეს სჩანს საღმოო წერილის შემ-  
დეგის აღილებიდან: წარველით და მოიმზადენით  
ყოველნი წარმართნი და ნათელსს ჰსცემდით მათ  
სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდი-  
სათა (მათესი 28, 19); სამი არიან, რომელი სწა-  
მებებიც ცათაშინა: მამა, სიტყვა (ძე ლვთისა) და სული  
წმიდა, ესენი სამი ერთი არიან (1 იოან. 5, 8);  
მაღლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და სიყვა-  
რული ლვთისა და მამისა, და ზიარება სულისა წმი-  
დისა თქვენ ყოველთა თანა (2 კორინთ. 13, 13);  
ნუგეშინის მცემელი იგი სული წმიდა (მესამე პირი),  
რომელი მოავლინოს სახელითა ჩემითა (მეორე პირი)  
მამამა (პირველი პირი), მან გასწავოს თქვენ ყოვე-  
ლი და მოგახსენოს თქვენ ყოველივე, რაოდენი  
გარეშე თქვენ—სთქვა მაცხოვარმა (იოან. 14, 26)

და სხვა ადგილებიდან, სადაც თვითეულ პირს ცალ-ცალკე მიეწერება ცოდნა, მნებელობა, მოქმედება. თვითეული პირი წ. სამებისა არის ღმერთი; მამა არის ღმერთი, ეს არის ღმერთი, სული წმიდა არის ღმერთი. საღმთო წერილში იწოდებიან ღმერთად: პირელი პირი—მამა: ღმერთი და მამა უფლისა ჩვენისა იქსო ქრისტესი (2 კორინ. 1, 3); იქსომ სთქვა: მამაო! მოიწია უამი ჩემი, აღიდე ეს შენი... და ეს არს ცხოვრება საუკუნო, რათა გიცოდენ შენ მხოლო ქვეშმარიტი ღმერთი, და რომელი მოავლინე ქრისტე იქსო (იოან. 17, 1—3); მეორე პირი, ეს; ვიცით, რამეთუ ეს ღვთისა შოვიდა და მომცა ჩვენ ნათელი და გონება, რათა ვიცოდეთ ჩვენ ქვეშმარიტი ღმერთი და გართ ჩვენ ქვეშმარიტისათანა ძისა მისისა იქსო ქრისტესა: ეს არს ქვეშმარიტი ღმერთი და ცხოვრება საუკუნო (1 იოან. 5, 20); მესამე პირი, სული წმიდა: ანანია! რაისა-თვის აღასო გული შენი ეშმაკინ ცურუებად სუ-ლისა წმიდისა... არა ეცრუე შენ კაცთა, არამედ ღმერთსა (საქმე მოციქ. 5, 3—4). რომ ეს არის ღმერთი და სული წმიდა არის ღმერთი, ეს მტკაც-დება კიდევ საღმთო წერილის —იმ ადგილებით, სა-დაც მათ მიეწერება ღვთაებრივი თვისებები: დაუ-საბამობა—დაუსრულებლობა, თვითმყოფობა—და-მოუკიდებლობა, ყოველგან მყოფია, ყოვლის ცოდნა, ყოვლის შემძლებლობა და ღვთაებრივი დიდება.

ღვთაებაში სამი პირია: მამა, ეს და სული წმი-და, და მამა არის ღმერთი, ეს არის ღმერთი, სული წმიდა არის ღმერთი; მაგრამ ეს სამი გვამი სამი ცალ-ცალკე ღმერთი კი არ არის, არამედ ერთი ღმერთია; ისინი ღვთაებრივი თვისებათა სისრულე-თა განუყოფელი იპყრობენ; მათ აქვთ ერთი ა-სება—ბუნება, ერთი ღმერთობა, ერთი მნებელობა, ერთი ძალა, უფლება, სიღიაუე, დიღება, სამნი არი-ან, რომელნი სწამებენ (კათა შინა: მამა. ხიტყა (დე) და სული წმიდა, ეს სამნი ერთი არიან. (1 იოან. 5, 8). მათი სხვა-და-სხვაობა წარმოსდგება არა სხვა-და-სხვაობისაგან ღვთაებრივთ თვისებათა, არა-მედ პიროვნულ თვისებათა განრჩევისა გამო. ზოლო პიროვნულ თვისებათა განრჩევა მდგომარეობს იმაში, რომ მამა ღმერთი არის დაუსაბამო არსება, ეს ღვთი-სა საუკუნოდ იშვა მამისაგან, და სული წლიდა სუუკუნიდგანვე გამოვალს მამისაგან. საღმთო წე-

რილში იწერება პირი მამად, იგი აძლევს არსებობას მეორე პირსა: რამეთუ ვითარცა იგი მა-მისა აქვს ცხოვრება თეისა თვისისათანა, ეგრეცა ძესა, მოსცა. რათა აქენდეს ცხოვრება თვისა თვი-სასათანა: (იოან. 5, 26), მეორე პირი იქსო ქრის-ტე არის მხოლოდ შობილი პარველის პირისა, მა-მისა: რამეთუ ესრუთ შეიყვარა ღმერთმან (მამამან) სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდ შო-ბილი მისცა მას (იოან. 3, 16); მესამე პირი, სული წმიდა გამოვალს მამისაგან: რაგამს მოვიდეს ნუგე-შინაშმელი იგი, რომელი მოვალინო თქვენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ქვეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს, მან ჰერამის ჩემთვის (იოან. 15, 26).

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ, თუ როგორ შეი-ცავს თვის შირის ერთი ღმერთი სამ პირსა, თუ როგორ შეაღებენ ერთ ღვთაებას მამა, ეს და სუ-ლი წმიდა, თუ როგორ იშვა ეს ღმერთი მამისაგან —ღმერთისაგან, თუ როგორ გამოვალს სული წმი-და ღმერთი მამისაგან —ღმერთისაგან, და საერთოდ, თუ როგორია არსება ღვთაებისა და საში გამოიხა-ტება მისი ცხოვრება,—ამავების სავსებით გაგება ადამიანისთვის შეუძლებელია, ეს კაცისთვის დაფა-რული საიდუმლოებაა, და ამის მიწოდომა მას არ ძალუშს. ეს ასეც უნდა იყვეს. ღვთაებას რომ სის-რულით მიწოდეს კუი, განა ის მაშინ ღვთაება იქ-ნება? უსაზღვრო, უული ტეს არსებას სუსტი, შე-მოსაზღვრული არსება რომ მისწოდეს, მაშინ პირ-ველი ხომ დაკარგავს თვისს არსებით თვისებას —უსაზღვრობას? როგორც ყაზვილს არ შეუძლია ნათლად წარმოიდგინოს ხნიერის კაცის ცხოვრება, მისი შინაგანი სამყარო, მისი ჰაზრები, გრძნობები, ლტოლვალებები, მისის სულის-კვეთა, —აგრედავ იდამიანისთვისაც შეუძლებელია ღვთაების ზედმი-წევნით მიხდომა. თუ უკა წმ. სამებაზე სწავლა კაცის გონებისთვის ზოუწლომელია, გარნა მან იგი უტრკა-ცესის რწმენით უნდა მიიღოს, მისთვის, რომ იგი გვაუწყა ჩვენ თვით უფალმა იქსო ქრისტემ, რომე-ლიც არის უუსრულესი ქვეშმარიტება, და რომელიც არის უუსრულესი ქვეშმარიტება, და რომელიც არის ნამდევილ ცნობას ღმერთზე არ მოგვცემდა; და ესევე სწავლა წმ. სამებაზე განიმე-ორეს და გაავრცელეს მაცხოვრის მოციქულებმა, რომელნიც, როგორც განწმედილნი, ღმერთთან სულიერად დაკავშირებულნი და სულით წმიდით

ხელმძღვანებული, შეცდომაში თვითონაც არ შევიღოდნენ და შეშტარ, ცრუ აზრებს სხვებსაც არ გადასცემდენ. თუ ნასწავლთა უმრავლესობა სხვადა-სხვა გვარ ცნობებს მსოფლიოს შესახებ არმენით ითვისებს, ე. ი. თუ იგი თვითონ კი არ იძიებს ამა თუ იმ საგანთა და მოვლენათა, თვითონ კი არ იკვლევს, თუ რა არის და რა ხდება სამყაროში, დედამიწაზე, დედამიწის სილრმეში, ადამიანის არსებაში, არამედ უსმენს შეცნიერებს, რომლების რიცხვი მცირეა, იჯერებს მათ ნათქვაში, იმეორებს მათგან გაგონილს და დარწმუნებულია მის სინამდვილეში; რისთვის რწმენითავე არ უნდა მოვიღოთ სწავლა წმ. სამებაზე, თუმცა ეს სწავლა ჩვენ ჩვენის გონების მოქმედებით არ გამოგვიყელებია, არ მივწლომილგართ მას? მართალია, სწავლულ კაცს, თუ მას ძალა შესწევს, გონება უჭრის, თუ იგი შრომას გასწევს՝ შეუძლია შეამოწმოს მეცნიერთა ნათქვამი, შეუძლია თვითონვე, თვისისავე სულიერთ ძალთა მოქმედებით, გაიგოს, გამოიკვლიოს, თუ რა სულევს და რა წარმოებს მის გარშემო, მას შეუძლია თვითონვე დაიაროს შორეული ქვეყნები, გაიცნოს უცხო ხალხნი, მას შეუძლია თვითონვე ჩაუკვირდეს ბუნებას, შეისწავლოს მისი მოვლენანი და კანონი და სხვა; — მაგრამ აგრედვეც შეუძლია კაცს თვითონვე გამოსცადოს და დარწმუნდეს უკრომელობაში სწავლისა წმ. სამების შესახებ, თუ კი გაირჯება და იხმარს იმ საშუალებას, რომლითაც შესაძლოა სხენებულ სწავლის სინამდვილის შეტყობა, ე. ი. თუ მოიპოებს სულის სიმაღლეს, სიშილეს და ცხოველს, მჴიღრო კავშირს ლმერთთან, თუ მისცემს ადგილს თვის ბუნებაში სულსა წმიდასა, რომელიც, როგორც საღმოთ წერილში სწერია, გამოუცხადებს და აწავებს მას ყოველივეს (იოა. 14, 16, 26).

ამნაირად, ზემონაჩვენებ წარმოთქმით მღვდელი ეკულესაში მდგომ ხალხს იხმობს საღიღებელად სამებისა, რომელიც არის წმიდა, თანაარსი, ცხოველსმყოფელი და განუყოფელი. ერთი ღმერთი, სამპიროვანი: მამა, ეს და სული წმიდა; მას არავითარი ბიწიერება, არავითარი ნაკლულევანება არ აქვს; მას ცოდვის ქმნაც არ შეუძლია; იგი ყოველს თვის მოქმედებაში უუმაღლეს ზნეობრივ კანონს სრულყოფს; მას თვისთ ქმნილებათა შინა უყვარს მხოლოდ სიკეთე და სდევნის ბოროტებასა.

ღმერთი ნათელ ის, და მნელი არა არს მისთნა არცა ერთი (1 იოა. 1, 5); იგი წმიდა არს (1 იოა. 3, 3). წმიდა იყვენით, რამეთუ მე წმიდა ვარ (1 პეტრ. 1, 15). წმ. სამება არის თანაარსი; როგორუ ზემოდ ესტეგით, მამა ღმერთი, ეს ღმერთი და სული წმიდა ღმერთი, შეადგენენ ერთს ღმერთსა; მათ ერთი ბუნება და ერთი მყოფობა აქვთ. წმ. სამება არის ცხოველსმყოფელი; მას ყოველი ქმნილებანი თვის ხელში უპყრია, მათზე მზრუნველობს, აძლევს მათ სიცოცხლეს, განსაკუთრებით, სულიერთ არსებათა ეხმრება და ანუქებს მათ ნეტარებით ცხოვდებას. წმ. სამება არის განუყოფელი; სამწი პარნი: მამა, ეს და სული წმიდა, ერთად იმყოფებიან და ერთობრივის ძალით, თანხმობით მოქმედებენ.


კაჭახაძე.

(შემდეგი აქნება)

კურთხევა მათხოვას დედათა საჯანის ახლად აგებული ეკლესიისა 4 ნოემბერს.

„შწყემის“ მკითხველებს მოქსენებათ, რომ ამ სამი წლის წინად მათხოვას დედათა სავანეში დაიწყეს ქვიტკირის ეკლესის შენება წმიდა მოციქულთა სწორის, გართველთა განმანათლებლის—ნინოს სახელზე. ღვთის შეწევნით ეს ეკლესია უკვე დასრულდა და ამა ნოემბრის 4-ს იგი აკურთხა მათმა მეუფებაშ იმერეთის ებისკონიჩმა ლეონიდშა.

მათი მეუფება ქუთაისიდან წაბრძანდა მათხოვაში 3-ს ნოემბერს, დილის ცხრა საათზე, გზაში მათ მეუფებას შეხვდა ქვითად სიარული, რადგან გუბის წყალზე ხილთან გზა გაფუჭებული იყო და მის გაკეთებას აღმინისტრაცია სრულებით არ ეძებს. პირველ საათზე მათი მეუფება ხონში მიბრძანდა. აქ მათი მეუფება მიიპატიუ საუზმეშე ბ. ლიმიტრი ჩინკვიშვილმა. ორი საათის შემდეგ მათი მეუფება წაბრძანდა მათხოვაში და ხუთ საათზე სავანეში



მათხოვის დედათა სახელის ეკვდერი.

მიბრძანდა. სამს ნოემბერს, დღით შაბათს, მწუხრი და ღმის თვეით ცისკარი იქმნა შესრულებული ახალ ეკკლესიაში, სადაც გალობდენ სავანის დები. მეორე დღეს, როგორც ეკკლესის კურთხევის წესი, ისე წირვა შესრულა მათმა მეუფებამ მონასტრების და ამ სავანის ბლალოჩინის მამა ორხიმანლრიტი ბესარიონისა, დეკ. დავით ღამპაშიძისა, ქუთაისის საკრებულო ეკკლესის მღვდლის ბლალოჩინის ნესტორ შვანგირაძისა და ბლალოჩინის ე. მაჭარაძის თანამსახურებით. წირვაზე გალობდენ სავანის დები და მათი მეუფების მგალობლები. წირვის დასრულების შემდეგ მათმა მეუფებამ წარმოსთქვა მგრძნობიერი სიტყვა. სიტყვაში მათმა მეუფებამ პირველად აღნიშნა ის სიხარული და ის სიამოენება, რომელიც აღიძრება ყოველ კეშმარიტს ქრისტიანეს გულში, როცა იგი შენიშნავს და ხედავს, რომ საქართველოს მოქმედება სალიდების სახლი—ტაძარი, რომელშიც კეშმარიტი ქრისტიანე ჰპოებს სრულს კმაყოფილებას სააქაოს და მოიპოებს ნეტარებას საიქიოს. შემდეგ ყველას გასაგებად განმარტა, თუ რა დროიდან დაწესდა მონასტრები და სავა-

ნები და რა დროიდან არსებობს ბერობა და მონაზენობა. განმარტა ბერთა და მონაზონთა განცალკევებული ცხოვრების მიზანი და მიმართულება. განმარტა ის დიდი მნიშვნელობა და სამსახური, რომელსაც ყოველს დროში იღებდა მათგან სახელმწიფო, მასული და ეკკლესია, დაასურათა ცხადად ქვეყნიდან განშორებული პირნი, თუ როგორ ბრწყინველენ ქრისტიანეთათვის და რა შუამდგომლობას უწევდენ ხალხს ლოთის წინაშე თავისი დაუცხრომელი ლოცვითა და ველრებითა. განმარტა რა დანიშნულება და მიზანი ბერობისა და მონაზონობისა, მათმა მეუფებამ, მიაქცია ყურადღება ამ სავანის დათა, თუ რამდენად უნდა იყვნენ იგინი მზად მოთმინებით აიტანონ ყოველი გაკირვება და განსაცდელი, რომელიც ხშირად მოსდევს სოფლის განშორებიდან განცალკევებულ ცხოვრების. ბოლოს შევედრა იგინი ღმერთს და ითხოვა, რათა უფალმა მოანიჭოს მათ მაღლი და კურთხევა თვისი, რომ ამ სავანეში ყოველი მღლაცველი მიიღებდეს სულიერ ნუგეშს და შვებასა და მას შინა მსახურთა მოეპოებიოსთ ის პატივი

და დიდება; რომლითაც ასე შესანიშნავი იყვნენ  
ჩვენი მონასტრების და სავანების მოღვაწენი.

ეკკლესიის კურთხევაზე და წირვაზე დოკა-  
ლი ხალხი დაესწრო. სამი დღე ერთი ერთმანერთ-  
ზე მიყოლებით მშვენიერი ამიდი იყო. წირვის  
შემდეგ მათი მეუფება კრებულითურთ და საპატიო  
პირებით სავანის უმფროსის პარასკევა ჩხიცევიშვი-  
ლისაგან სადილზე იყვნენ მიწვევულნი. საღმოს  
ოთხ საათზე შათო მეუფება წამობრძანდა ეტლით  
ხონში და, რადგან გზა ერთ აღვილის გაფუჭებუ-  
ლი იყო და ღამით აღარ შეიძლებოდა მოგზაუ-  
რობა, ღამე გაათია დაბა ხონში და მეორე დღეს  
(ჩ ნოემბერს) ეტლით მობრძანდა ქუთაისში თერ-  
თმეტ საათზე.

ასე დამთავრდა ერთი უდიდესი საქმე მათ-  
ხოჯის დედათა სავანისა,—ახალი ეკკლესიის აგება  
და კურთხევა, სრული იმედია, რომ მათი მეუფების  
მფარველობის ქვეშე, ეს სავანე მოიპოვს თავის  
არსებობის საშუალებასაც...

დაშეწერ.

## ახალი აქტები და შენიშვნები.

\* \* \* ტფილისის სასულიერო სემენარიის მას-  
ტავლებელმა და საეპარქიო დედათა სასწავლებლის  
ინსპექტორმა ა. პ. ალბოგმა ავადმყოფობის გამო  
ორსავე სასწავლებელში სამსახურს თავი დაანება.  
ტფილისის სას. სემინარიაში ბ. ალბოვის ადგილ-  
ზედ წარდგენილ იქმნა სემინარიის ინსპექტორის  
თანაშემწე ბ. ა. რეავენსკი,—ხოლო საეპარქიო  
სასწავლებელში ინსპექტორად და რესულის სიტ-  
ყვიერების მასტავლებლად დანიშნულ იქმნა ბ.  
ნიკოლოზ პოლიტოვი, რომელმაც წელს დაამ-  
თავრა სწავლა ყაზანის სას. აკადემიაში ღოთის-  
მეტყველობის კანდიდატის ხარისხით. ბ-ნი პოლი-  
ტიკოვი, საეპარქიო დედათა სასწავლებლის წესდე-  
ბის თანახმად, უნდა მღვდლად ეკურთხოს.

\* \* \* იმერეთის სამღვდელოების დეპუტატების  
კრება არის დანიშნული პირველ დეკემბერს ქ.  
ქუთაისში სასულიერო სასწავლებლების საქმეების  
შესახებ. სამღვდელოთა კრებებმა ამ ბოლო  
დროს, საზოგადოდ ყველგან და განსაკუთრებით  
ჩვენში, რაღაც იმედი დაუკარგა როგორც სასუ-  
ლიერო მთავრობას, ისე სამღვდელოებას. ხშირად  
კრებაზე საქმე ბოლოვდება დეპუტატების ნაცნო-  
ბობით და შეუსაბამო მოქმედებით. საჭიროა, რომ  
ერთ-სულიობით და ერთ-გულობით იმოქმედონ საქ-  
მების გარდაწყვეტის დროს დეპუტატებმა; საჭი-  
როა მათ ყურადღება მიაქციონ საქმის სარგებ-  
ლიანობას და არა სხვა რაიმეს.

წარსულ წელშიაც ბევრი კითხვები იყო გ  
დასაწყვეტი, რომელთაგან უმეტესი არ გადაწყვ  
ტილა და ორც კამისიები დანიშნულა ამ კითხ-  
ბის გამოსარკვევად. ამასთან ბევრჯერ გვითქვ  
და კიდევ ვიტყვით, რომ საჭიროა დე-  
ტატებმა შეისწავლონ კანონები და სამღვდელოე  
კრებათა და სასულიერო სასწავლებელთა წეს  
ბანი არა კრების დროს, არამედ კრებამდისინ.

\* \* \* „კავკასიის საიმპერატორო სასოფლო ს  
ურნერ საზოგადოების საბჭომ 8 ნოემბრის სს  
მაზრე, სხვათა შორის, განიხილა კავკასიის გ  
ფენის კომისარის მოხსენება გამოფენის დახუ-  
ვალის გადადგების შესახებ და, მიიღო რა სახეში  
ის გარემოება, რომ თუ გამოფენა საგათასოდ იღარ  
იქმნა გაგრძელებული, გამმართველ კომიტეტს  
დიდი ზარალი მოელის, შესაძლებლიდ სცნ გაგრ-  
ძელება გამოფენისა მომავალ 1902 წლის მაისიდ-  
გან ოქტომბერმდე“. რასაკვირველია კარგია გამო-  
ფენის დატოვება, რომ ხალხმა ნახოს და შეისწავ-  
ლოს რამე, მაგრამ მოთამაშე ქალები ეყოლება  
გამოფენის გამგე პირთ თუ არა?..

\* \* \* 7 ნოემბერს ღამით, ამიერ კავკასიის  
რკინის გზის მეურნალის ვოინოს საკლში დილის  
4 საათზედ შეპარულა მასთან მზარეულად ნამყო-  
ფი სპარსეთის ქვეშეგრდომი და ვოინოსთან მცხოვ-  
რები ქალი რამდენსამე ადგილის სასიკედილოდ  
დაუჭრა; ყვირილზე გამოლვიძებოდა თვითო ვიო-  
ნისან და თუმცა დილხანს უბრძოლნია ბოროტ-  
მოქმედებან, მაგრამ ვერა გაუწყვია რა, რადგანაც  
უიარაღო ყოფილა. ბოროტ-მოქმედს ისიც დაუ-

ჭრია რამდენსამე აღგოლას და შემდეგ სადღაც  
გაქცეულა, მაგრამ პოლიციას დაუკერია, როცა  
იგი მოსამსახურეთა ბიუროში მისულა. დაჭრილი  
ვორნო მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნიათ;  
ხოლო ქალი გულში მძიმე ჭრილობისაგან უკვე  
გარდაცვალა მაშინვე. მიზეზი ბოროტ-მოქმედე-  
ბისა ნამდვილად ჯერ არ იყიან. ქალი ინუინერის  
ცოლია, მაგრამ ქმართან არ ცხოვრებდა.

\* \* \* ტფილისის ქალაქის გამგეობამ 6 ნოემბ-  
რის სხდომაზედ გარდასწყვიტა გადაძებულ იქმნეს  
10,000 მან. ნავთლურის დედათა გადამდებ სენის  
საავადმყოფოს შესაკეთებლად, ხოლო იმის შეკე-  
თებამდე გაკეთდეს ახალი სადგომი, რომლისათვი-  
საც გადაიღოს ქალაქის სამუშაო თანხიდგან  
12,000 მან. და იქ გადმოიყვანონ ავადმყოფები;  
შემუშავდეს პროექტი ერთის დიდის შენობისა,  
რომელშიაც უნდა მოთავსდეს ქალთა და კაცთა  
განყოფილებით; ამ შენობისათვის ქალაქს დას-  
ჭირდება 80 ათას მანეთამდე. დიას, დასაფიქრე-  
ბელი საქმეა, რამდენი ხალხი ფულდება ზნეობით  
და ამისათვის კიდევ ასიათასი შანეთი იხარჯება!..

\* \* \* კომისიამ, რომლის თავმჯდომარედ მიტ-  
როპოლიტი ანტონია, წარუდგინა სახელმწიფო  
საბჭოს განსახილველად სრულიად შემუშავებული  
პროექტი მართლ-მადიდებელ სამლენელოების სა-  
პენსიო წესდებისა. ღმერთმან ინებოს, რომ პენ-  
სის დანიშვნის დროს სოფლის მდვდლების გაჭირ-  
ვებულ მდგომარეობისათვის უურადღება მიექი-  
ოსთ.

\* \* \* მუკლენიდგან მოსულ უკანასკნელ ცნო-  
ბებით, რესერტის ქალადის მანეთს ჩინელები იღე-  
ბენ 1 მან. 20 კ. და 1 მ. 30 კაპეიკად ვერც-  
ლითა და ოქროთი, ხოლო ამერიკის დოლარს  
და ჩინეთის ფულს ფასი 20 და 30 პროცენტით  
აკლდება.

\* \* \* მალე შემოიღებენ ახლად შემუშავებულ  
რკინის გზის ტარიფს იმ შემთხვევისათვის, როდე-  
საც მოსწავლენი რკინის გზით სადმე მიღიან ხოლ-  
მე სამოგზაუროდ. ახალის ტარიფით, თუ რომ  
მანძილი 300 ვერსს არ აღემატება, მოსწავლენი  
ჩვეულებრივის ფასის მხოლოდ მეოთხედს გარდა-  
იდგიან.

\* \* \* საჩხერელი წერეთლები ედავებოდენ ჩა-  
მულებს მღვიმეებს დედათა მონასტერს. ეს მამუ-  
ლები, როგორც ამბობენ, მილიონის საფასოა.  
ქუთაისის ალქის სასამართლოში წერეთლებმა ეს  
საქმე წააგეს. წერეთლებმა ეს საქმე განასაჩინოებს.  
ებლა, როგორც შევიტყვეთ, სუდ. პალატას 13 ამ  
ნოემბერს დაუკავშირდებია წერეთლების თხოვნა  
და საქმე წაუგია. მღვიმეების მონასტერს.

\* \* \* მომავალის წლის იანვრიდგან გერმანელ-  
თა ახალ-შენების მცხოვრები უმაღლესის მთავ-  
რობის განკარგულებით ყველა იმ წესა და კანო-  
ნებს უნდა დაემორჩილნენ, რომელთაც ყველა  
სხვა-და-სხვა ტომის ერები ემორჩილებიან კავკა-  
სიაში.

\* \* \* ნეტარ ხსენებულმა გაბრიელმა უანდერა  
ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელს  
2500 მანეთი, რომლის სარგებელი უნდა მოხმარ-  
დეს ხსენებული სასწავლებლის დარიბ შაგირდებს.  
დღემდე ამ თანხის სარგებელი შედგა 400 მანეთი,  
რომელიც გადაეცა ხსენებულ სასწავლებელთან  
მეფის დავით აღმაშენებელის სახელობაზე დარ-  
სებული ძმობის გამგეობას.

### რედაქციისაგან.

საყოველთაოდ ვაცხადებო, რომ ვისაც დღემ-  
დე არ მიუღია ამა წლის ჩევნი გამოცემის „მწყემ-  
სი“-ს ხელის მომწერთათვის დანიშნული საჩუქრე-  
ბი (პრემია), ყველანი მიიღებენ ამ საჩუქარს მო-  
მვალს დეკემბრის თვეში.

ყველა მათ, რომელნიც გაზეთს იღებენ ზუგ-  
დიდის ფოსტიდამ, შეუძლიათ მიიღონ ხსენებული  
პრემია აღგილობითი წიგნის მაღაზიის მეპატრონის  
მანუჩარ ადამიასაგან, რომელსაც ჩევნ უკვე გადა-  
ვეცით ეს პრემიები, ამ დღეებშივე გაეგზავნება  
ჩევნგან ბ. ადამის სია, თუ ვის უნდა შიეცეს ეს  
პრემია. ამასთანავე ვთხოვთ ჩევნს გამოცემაზე ყველა  
ხელის მომწერთა, რომ ვისაც გაზეთის ფული ამა  
წლისა ჯერ კიდევ არა იქვეს გამოგზავნილი, დაუ-  
ქარონ ფულების გამოგზავნას და ან ვისაც სურს  
გაზეთის გამოწერა, ესეც მალე ვეკუნობონ, ვინა-  
იდგან ბანდეროლების დაბეჭვდასაც დრო უნდა.



სწავლა და მეცნიერება ქართულა-  
ნობის სამართლებაშა და კუთილა-  
ზნებაზე.

ს ი ტ უ ბ ა.

თქმული 10 გითრგზისთვის ქვეშეთის წმ. გითრგზის  
ეპენესაში.

მოიხსენებით წინამდგარი იგი თქვენი,  
რომელი გეტყვადეს თქვენ სიტყვათა მათ  
ღმრთისათა და ხედვიდით გამოსელასა მას  
ცხოვრებასა მათისასა და ბაძევდით სარწმუ-  
ნებასა მათსა. (ებრ. 13. 7).

წელიწადში დღე არ არის ისეთი, რომ რო-  
მელიმე წმიდანის, მოწამის, აღმსარებელის სადიდე-  
ბელად, მოსაგონებლად არ იყოს დანიშნული წმ.  
ეკკლესიისაგან. ყოველ ქრისტიან ხალხს და პირს  
ამ წმიდათაგან ამორჩეული ჰყავს რამდენიმე, რო-  
მელთაც მათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა  
აქვთ. მათ სცემენ თაყვანს, აქებენ და ადიდებენ და  
მათვე სხოვენ მიიღონ შეუძლებომლობა ღვთის წი-  
ნაშე და აღმოუჩინონ შეწეობა ამა თუ იმ საქმეში,  
მდგომარეობაში. მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ რო-  
დის, რა შემთხვევაში იქნება შეწინარებული, მიღე-  
ბული ჩვენი ქება-დიდება და თხოვნა? რას ვამჩნევთ  
ჩვენ ცხოვრებაში? უზნეო კაცი რომ მივიდეს, წარ-  
დგეს ზე-დაცულ პირთან და ქება-დიდება შესხსას,  
ამანი ქებას იგი დიდ მნიშვნელობას არ მისცეს; შეიძ-  
ლება საძრახისადაც, საწყენადაც მიიღოს. ესევ მოხ-  
დება, ჩვენ რომ ვალიდოთ ღმერთი ანუ რომელიმე  
წმიდანი და ცხოვრება ჩვენი კი არ შეესაბამებოდეს,  
არ ეთანხმებოდეს იმ მცნებათა, მოძღვრებათა, სწავ-  
ლა-დარიგებათა, რომელთა აღსრულება სავალდე-  
ბულოთ დაგვიდგინეს, დაგვიწერეს მათ. არა ვფიქ-  
რობ მიღებულ იქნეს ჩვენი ქება-დიდება მათგამი

მიმართული. ძველ აღთქმაშივე გამოსთქვა ეს აზრი  
ესაა წინაშარმეტყველმა: მასებულებელ არს ჩემდა ერთ  
ქვე პირითა მითითა ჰატიეს მცემს მე; სოდეთ გულინი  
მათნი შეს განშორებულ არან ჩემგან. ამადე მსახუ-  
რებენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძღვრებას და მცნებას  
პაციას (ის. 29, 13). ე. ი. ტყვილა უბრალოდ  
იწუხებენ თავს, ვინც ფაქტობს, რომ სიტყვით  
ვალიდოთ ჩვენ ღმერთი, ანუ რომელიმე წმიდანი  
და საქმით საჭირო არ არის. მაშასადამე ჩვენგან  
თავდაპირებულად ითხოვება, ჩვენი ყოფა-ცხოვრება  
იძნაირად დავაყენოთ, იძნაირი მიმართულება მივი-  
ცეთ, რომ სასიამოვნო იყოს როგორც ლეთისათვის  
ისე იმ პირთაობის, რომელთაც თავისი წმიდა  
რებით მოიპოვეს უკვდავება. ესევ ითქმის  
თხოვნის შესახებ. როგორი მიმართულებისაც  
კაცი, რა აზრისაც არის ცხოვრებაზე, რა მიი-  
აქვს მას ამორჩეული, მის მისაღწევად შესაფერ  
წეობას, დახმარებას თხოვოლობს ღვთისაგან, რ-  
როცა ჩვენი თხოვნა ეწინააღმდეგება საღმრთ  
რილის და წმიდა მამების სწავლა-დარიგებას, იგი  
ოდეს შეწინარებული არ იქნება. „ითხოვთ  
შიაღებთ, რამეთუ ბრძოლათ ითხვეთ“ ამბობს  
მოციქული. ამისათვის საჭიროა ყოველმა ჩვენ  
შეიგნოს მიზანი ცხოვრებისა, გათვალისწინოს,  
რა დანიშნულება აქვს კაცს, რისთვის ვართ გა-  
ნილი, რას უნდა ველტოდეთ, როგორ უნდა ვიც-  
ხოვროთ, რომ ჩვენ დანიშნულებას არ ივშორდეთ.  
რა არის ცხოვრების მიზანი? ეს კითხვა როგორც  
ძველს ისე ახალს აღთქმაში ცდილობლნენ და ცდა-  
ლობენ დღესაც ახსნან, მაგრამ ერთ რომელიმე  
დასკვნაზე ვერ მისულან, ვერ გამოუტკვევით, რაღ-  
გან არ ხელმძღვანელობენ, არ იღებენ მხედველო-  
ბაში არც საღმრთო წერილს და არც წმ. მამების  
სწავლა-დარიგებას. ვინც შეძლებული არის, ვისაც  
დიდი ქონება აქვს, კადაგობს: კაცმა თავისი ღვენი  
და წუთისოფელი სულ ლენში უნდა გაატაროსო,  
არაფერზე არ უნდა იდარღოსო, მხარულად უნდა  
იყოსო და რაც შეძლებული მეტი სიამოვნება უნდა  
ნახოს, სანამ ცოცხალია. სეფა, გაქვს მრავალი გე-  
თალი დაწებებული მრავალთა წელთა, განისვენე, ჟჟავშე  
და ჟეს და იხარებდ (ლუკ. 12, 19). ამ სიტყვებით  
გამოიხატება აღნიშნულ პირთა მოძღვრება. მაგრამ  
დანამდვილებით შეუძლიათ თუ არა მათ დამტკა-

უონ, მოიპოვებოდეს ისეთი პირი, რაც უნდა მდიდარი იყოს, მწუხარება არ გამოვლის. მგონი ვერ ნახავთ ისეთ (კაცს), ადამიანს, რომელსაც გარდა სიხარულისა, ლხინისა, სიტკბოებისა არ ენახოს რა ამ ჩვენ წუთისიცელში. უკველ კაცს ბევრად თუ ცოტად ხედება წილად წვალებისა და სიმწუხარის განვლა. ან როგორ მოხერხდება სხვანაირად? ყველამ რომ ილხინის, ამისათვის ყველის საშუალება უნდა, უკველი კაცი ეცდება ბევრი შეიძინოს კანონიერად იქნება თუ უკანონოდ. კანონიერად, ე. ი. თვისი შრომით, რომელიც უწვალებლად არასოდეს არ იქნება, უკანონოდ, ე. ი. წართმევით, წაგლეჯით, რაც გამოიწვევს ურთიერთ შორის გამწვავებულ, გაცხარებულ ბრძოლას, სისხლის ლვრას. მაშასადამე, ერთმა რომ სიტკბოება იპოვოს, განცხომაში იცხოვროს, ამისათვის ასმა წვა და დაგვა უნდა გამოიაროს. მაშინ ხომ ლხინის მაგიერ მწუხარება, ტირილი და დაუცხრომელი ბრძოლა იქნება.

ზოგნი, ვისაც ბევრი წვალება, მწუხარება გამოუვლია, არასურას მიზანს არა ჰიპებს ცხოვრებაში და ამბობს: ტყვილა უბრალოდ გაჩენილა კაცი ქვეყნიერობაზე, უმჯობესი იყო სულ არ გაჩენილიყოვო, ვინემ თვისი დღენი წვალებაში გატაროსო. ამნაირ პირთათვის, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილთათვის ცოტა რამ მიზეზი ირის საკმარისი, რომ თავიანთ თავი ამ ქვეყნიერებას უდროვოდ გამოასალმონ. - მაგრამ ცხოვრებაში ჩვენ ხშირად ვხედავთ, რომ ეს ვაჟბატონები არღვევნ თავიანთ მოძღვრებას. ხშირად ვაშჩნევთ, რომ ისინი ქიფობენ, ლხინში დროების ატარებენ და არასოდეს უარს არ ამბობენ, თუ შემთხვევა მიეცემა მათ, ისარგებლონ ქვეყნიური სიკეთით. ათასში ერთს თუ იპოვნით, რომ სიკვდილის დროს მას არ დანანდეს მოშორება ამ ქვეყნიური ცხოვრებისა, რაც უნდა ცულ; გაჭირვებულ მდგომარეობაში იყოს იგი. მაშასადამე ცხოვრებაში წვალებასთან, მწუხარებასთან ერთად განუშორებლად სიხარულიც ყოფილა. ჩემის ფიქრით, კაცი კარგად ყოფნას ვერ დააფახებს, ვერ გაიხარებს რამე სიკეთით, თუ მას არ უგრძენია სიმწუხარე. „ჯერ მწარე სეამე, კვლავ ტკბილი, თუ ედებ გემოვნებასა; ლხინსა ვინ მოიმენს პირველ ჭირთა უზუშევთ?“ ირის ნათქვამი. ვაშმომ, ვერ იპოვნით ვერა კაცს, ვერა ოჯახს, რომ მას თავის

დღეში სიხარული არ ეგრძნოს, ხანგრძლივ, თუ მოკლე დროით. ზოგნი კიდევ იმას ამბობენ, ჩვენი ცხოვრება ბრძოლათ; უბრძოლელი ცხოვრება, ცხოვრებად არ ჩაითვლებათ. მაგრამ როდემდისინ უნდა იქნეს ეს ბრძოლა? თუ დაუცხოლებელია, მაშინ ცხოვრებას რა მნიშვნელობა ჰქინია კაცი-სათვის, გარდა წვალების—მოუსვენრობისა? ძალ-მომრეობაზე როცა მიდება საქმე, თითქმის ყველას, შეძლებულს და შეუძლებელს გაშხამებული ექნება სიცოცხლე. თუ აქეს ბოლოდასასრული, ეს მხოლოდ კაცობრიობის გადაგვარებაა, სრულებით მოსპობა უნდა იქნეს. ასე თუ ისე, ამნაირი შეხელულობა კაცის ცხოვრების მიზანზე არ აქამიტილებს ჩვენს გონებას, დაბეჯითებით ვერ არწმუნებს, ვერ უხსნის, თუ რაში მდგომარეობს ჩვენი დანიშნულება, რა მიზნის მისალწევად უნდა ვშრომობდეთ. რასაკირველია კარგია, როგორც კაცის გონებას არ ძინავს, მოძრაობა ეტყობა, მაგრამ, რამოდენად მართალია ამ შემთხვევაში მისი სჯა, ეს საკითხია. არა მგონია ვინმეშ უკეთესად განვითარებოს, აგვიხ-სნას ჩვენ, თუ რას უნდა ველტოდეთ და რა არის მიზანი ჩვენი ცხოვრებისა, როგორც სამრთო წერილი—სიტკა ლვთისა და წმ. მამათა ყოფა-ცხოვრება. თვალ-წინ განუშორებლად უნდა გვეკონდეს ჩვენ მათი სწავლა-მოძღვრება, ყოველთვის უნდა ვდილობდეთ მივბაძოთ მათ ცხოვრებას და მაშინ მოპოვებს სული ჩვენს შვებას; მაშინ იქნება შილებული ჩვენგან ქება-ლიდება, მიმართული ლვთისაღმი და წმიდანებისაღმი და მაშინ მოგვაცევენ ჩვენ ყურადღებას და შეისმენენ ჩვენ ველრება-თხოვნას. ორში ერთი უნდა იყოს უსათუოთ: თუ გრწამს, მიგანია ვინმე წმიდანათ, სისა მოგწონს მისი ცხოვრება და დარიგება, თუ მოგწონს, კიდევაც უნდა წაბაძო და თუ არ წაბაძო, ეს მისი ნიშანია, რომ არ მოგწონს და თუ არ მოგწონს არ მიგანია წმიდანათ და თუ არ რაც წმიდანათ, იკოდე, დაჯორებული იყავი, შენი თხოვნაც შეწყნარებული არ იქნება მისგან, როგორც ზევითა ესთქვით. ამინ.

ჭაშ. წმ. გიორგის ეს. წინამე. მარტოზ ტექმადაძე.

Նաելովմեջանցու, Տայովուղարքու,  
Նախուա և Նաևաշացու պետաւա  
ցանցուզուլցու.

## Տայիշու յառեցեծ ցանթանքու.

յառ. Ե՛նորագ Տասելու անց Տասում նամցուու Տածու-  
տցես, Հռամելունու Քարմռուցենունու ուցնեց  
“ոճօւկու” Մընացցենաց ցարուցանուս կարտեցցուս  
ֆուն, Մընացց տեսուլուցեն, Հռացուրու Մացալու-  
տցեթի, Տինունուս յանքորուուցան մուցմուլ մեր-  
րուցու մութմանա, նամեսերցեթիտ Տուս և Տեցա  
ամցարտա. Հռցու տու առ ամ Տուրցես ցըրինու  
մարկցեթ մուցետեցուս ամ Տածուցեթիսաւու?

մազ. Տու նամցուու Տածուցեթի, Հռամելունու Քարմռո-  
նունու ուցնեց ոճօւկու Մընցենու Ընունու, Տասու-  
մա ան Տասելու Մընացց Հաճուրցեթի ունուցու,  
մեցուցումա ամ Տածուցեթի Տուրցեթ Մընց և Հա-  
րոցուս ոճօւկու համայնքեթաց և Ապուլու ամ-  
ցար Տուրցեթ Մընց և Հայուրաս ուստուց մարկցեթ,  
Հռացուրու ցյրա նամցուու Տածուտ. ամ Տուրցեթ Մընց  
Մընց Հաճուրցեթ Եղու մութմունու նամցուու  
Տածուցեթիս մուլցեթ, Հռամելուաւ յէպուցենուցու  
ոցուն.

յառ. Տրահուսելու արհեցու Ծրուս որհեցա մրցու-  
տացան ուրու Տանու Տուրու դասաթիրցեթաց պո-  
ւուլածցես ցածնուս, Քոցնեթի Մընութեթիս և  
անցարունուս Մընցենու Ծրուս. Համու մլցումարց-  
ութի ամ Տուրու մուցուցու?

մազ. Մընթուցես Տինունու յանչուս մալուտ, յև Տուրնու  
մուցուցեն արուան պուլածցեթի ցածնուս և  
Մընաւալ-ցասաց. Քոցնուս Մընութ. Ծրուս Հայութեց  
և Տացանտու Եղուս մութմուտ դամութմու պո-  
ւուլածցեթիսացան ցամուցեթու ուսուլցեթիս Հռուցենու-  
թա և Մընաւալ-ցասացուս անցարունու. Տու Համբ  
պուկնունու Մընութեց մատ Մընաւալ-ցասացուս  
Քոցնուս անցարունու Քարմռուցենու, Մընցունուտ  
մատենուն յև ալցուլութիտ ծլալունուն. (օհ.  
Մընթուցես Տինունու ցանթարկցեթիտ ցանինցեթա  
1892 թ. 9 նոյեմբերին).

յառ. Կընչուհանու Քարմռուցենու եղունաթերև, Հռամլուս  
Մընաւեթ ունեացեթ, Ենքա-Հռու գամացեթատ, և  
ուսունու մարկա Մընց յըրաս?

մազ. Տամ-աճունուն ցըրինուս մարկա.

յառ. Հռու յրու Քոցնու կրմռուլուս յինցուս տացուս  
ամեանց Քոցնու-մեցուցու ան մտացար-գուպուն  
ծլալունունու, ծլալունուն ցալցութուլու տու  
առ, Հռու տցուուն մուցուց մանցպ-ձան-մանցպ  
և ցամունուս, տու ապամուցունուս անց Տեցա  
գամածրյուղցելու մութմա մութմա Շց-  
ումուու, Հռու մեցուցու-մտացարուն ցանթանցու յև  
Տահուարուն?

մազ. ծլալունուն Տածունչ Շցուանունու Տահուարու,  
Մուցուաւ ծլալունուն, ան տցուուն լու ան Տեցա  
Տամեցու կացու Տածունչ մութմա ցամունուս  
և տու Տահուարու Տածունչ մութմա ալմռունցեթա,  
Մընց մութմանուս մեցուցու-մտացարու. ծլալունուն  
Տածունչ Շցուանունու Տահուարու մեցուցու-  
մտացարուն առ ցանթանցեթ ցամուսպուլուաւ.  
մամասաթլուսուսացան յանունունունունունուն  
մութմանուս ունուցու, Հռու մուցուն ցամուց-  
ունունու յանունու Ընունու մեցուցու-մտացարու-  
մտացարուն առ ցանթանցեթ ցամուսպուլուաւ.

յառ. մամասաթլուսուսացան յանունունունունուն  
մութմանուս ունուցու, Հռու մուցուն ցամուց-  
ունունու յանունու Ընունու մեցուցու-մտացարու-  
մտացարուն առ ցանթանցեթ ցամուսպուլուաւ.

մազ. մամասաթլուսուսացան յանունունունունուն  
մութմանուս ունուցու յանունունունունունուն  
յանունու յանունու Ընունու մեցուցու-մտացարու-  
մտացարուն առ ցանթանցեթ ցամուսպուլուաւ.  
մամասաթլուսուսացան յանունունունունուն  
մութմանուս ունուցու յանունու Ընունու մեցուցու-  
մտացարու-մտացարուն առ ցանթանցեթ ցամուսպուլուաւ.  
յառ. յայս տու առ յուլցեթ Տաճունու ցլցես, տա-  
ցուսու Տաճունու յանցուցու-ցլցուցուս?

մազ. Տաճունու տու մուս, Տայուար ալցուլու առուս Հալ-  
ցուլու, Հասացուցու Մընցունու. Տու Տաճունուն  
ալցուլու ալցուցու մանց Տաճունու Տաճունուն  
յունցուս ունուցու ունեմուն.

გილება ხელის-მოწერა 1902 ჯლისათვის ორ კერძო საავათშოთ აგაულათოსა იმით უდინებელ გამოცემათა ჩართულს

## „პასტერ“<sup>-ზე</sup>

რუსულ „ПАСТЫР“-ზე

ქურნალის ფასი:

- 12 უკათ **«მწყემსი»** 3 გ. | 6 თვით **«მწყემსი»** 23.  
— „, რუსული „, 3 გ. — „, რუსული „, 2 „  
— „, რივე გამოცემა 5 „ — „, რივე გამოცემა 3 „

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც  
უკარიადაში, აგრეთვე ქუთასისაც. თბილისში  
წერა-კოსტესის გამარტინულებელ საზოგადოების წიგნის  
მაღაზაში, ბ. შოთ ქურუკერლითან. ფოთში — დეკანოზ ბ. გრიგოლ მაკაროვთან; საჩხერეში — ყარაბახის მარტინესთან; ხახულის — დეკანოზ დ. ხახულისთან; ხახულის — ბლალიში მარატისტე კალანდარი-შეილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ლარით გაზირებიდაეთმო-  
ბათ მთელის წლით ურთიერთ გამოცემა სამ მანეთა დ.

რედაქტორის აქც კანტორები: ქუთასში დეისაძის  
სახლებში და ეგირადაში რედაქტორის საკუთარ  
სახლებში.

გარე კურატებით ეურნალის დაბარები შეუძლიათ  
ამ აღნერით: Въ Квирили, въ редакцію газеты и  
журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫР».

რედაქტორის მოიპოვება წარსული წლების რამ-  
დენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელ-  
ნიც ნახვარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

ამ ნომერთან ივზავნება განცხადება ბ.  
ანატოლი ვერნერისა.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. გამბაშიძე.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 16 ноября 1901 г. ♦ Цензоръ прот. Е. Елиевъ

რედაქტორ-გამომცემელი (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. А. Дейсадзе на Нѣмецкой ул.

## ს. გ. თოლის რიცხვის.

ქ. ქუთასისში.

საავათშოთ დგას ორ მოცი საწოლი.  
ხირიტები გრძელობის და შინაგან სენით  
ავათშოთთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით  
ავათშოთნი არ მიიღებიან, მოსიარულე ავათშოთ-  
ნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3  
საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათშოთ მიიღებს  
მა. ს. ბ. თოლის.

ქირიტები შარდით სიღილისით და თვალების-  
ავათშოთობისათვის.

მა. ვ. კ. გერლატი.

დედაქაცურ ავათშოთთა და საბებით ქალი.  
მა. ვ. ვ. კოზანი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსი-  
ლიუმის ფასი 3 გ. დღე და ღამე ქირა სა-  
ავათშოთმი სრული ხარჯით და ქიმობით  
2—3 მანეთამდე. ანგრძელის ფასი გარიგებაზეა.  
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოლის.

## ზ ი ნ ა რ ს ი 0:

სალიტერატურო განცოცილება: სიტუა, 21 კვი-  
რაკება, თქმული ქუთასის საკაფეორ ტაძარში ყ-დ სამლევ-  
ების, ლეონიძის მიერ. — ღმერთო აზრაველ ამისთან მასწავ-  
ლებელი ჩერები! — მართლ-მადიდებლობით ჭრისტიანებრივის-  
საეკლესიო საზოგადოებითის ღვთის ბაზურების გამარტება-  
ყაჭაბიძისა. — კურთხევა მათოჯის დედათა სავანის ახლად  
აგებულ ეკკლესისა 4 ნოემბერს, დაშტრესი. — ახალი ამბები  
და შენიშვნები.

სეისლა და მეცნიერება ძისტიანოზის სარაზ-  
ონებასა და კოსტოლ-ჯევობაზე: სიტუა, თქმული 10  
გიორგობისთვეს ქვაშეთის წმ. გიორგის ეკკლესიში მარკო  
რეზმალაძის მიერ.

საპირო და სასაჩვებლო ცეობათა განცოცი-  
ლება: საეჭვო კოსტების განმარტება.  
განცხადება.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 16 ноября 1901 г. ♦ Цензоръ прот. Е. Елиевъ